

ახლა მე მოგიყვები პატარა ამბავს. მომისმინე და შემდეგ შენ მომიყევი რაც დაგამახსოვრდება.

ჯიუტი თხები

მდინარეზე ვიწრო ხიდი იყო. ხიდზე ორი თხა შეხვდა ერთმანეთს. ერთმა უთხრა: „უკან გაიწიე“. თხამ უპასუხა: „არა, შენ გაიწიე“.

თხებმა ჩხუბი დაიწყეს. რქებით დაეჯახნენ ერთმანეთს. ჯიუტი თხები წყალში ჩავარდნენ.

შეკითხვები

1. რა იყო მდინარეზე?
2. როგორი ხიდი იყო მდინარეზე?
3. ვინ შეხვდა ერთმანეთს?
4. რა უთხრა ერთმა თხამ?
5. მეორემ რა უპასუხა?
6. შემდეგ რა მოხდა?
7. სად ჩავარდნენ თხები?

დააკვირდი სურათებს და მომიყევი ამბავი



ახლა მე მოგიყვები პატარა ამბავს. მომისმინე და შემდეგ შენ მომიყევი რაც დაგამახსოვრდება.

ზღარბი ტყეში

იყო ერთი პატარა ზღარბი. ზღარბმა გუდა აიღო და ტყეში წავიდა. უცებ საშინლად მოიღრუბლა. წვიმის წვეთებიც წამოვიდა. ზღარბმა პატარა სოკო იპოვა. გუდა სოკოზე დადო. თვითონ კი სოკოს ქვეშ შეძვრა და ფოთოლი გადაიფარა. მალე წვიმამ გადილო. ზღარბი გამოძვრა სოკოდან გამოძვრა. მაგრამ, რას ხედავს?! წვიმაში სოკო ძალიან, ძალიან გაზრდილი იყო. სოკო ისეთი დიდი და მაღალი გახდა, რომ გუდას ვეღარ წვდებოდა.

შეკითხვები

1. სად წავიდა ზღარბი?
2. რა აიღო ზღარბმა?
3. ციდან რა წამოვიდა?
4. რაზე დადო ზღარბმა გუდა?
5. რა გადაიფარა ზღარბმა?
6. რა მოუვიდა სოკოს წვიმის შემდეგ?
7. რატომ შეძვრა ზღარბი სოკოს ქვეშ?
8. რატომ ველარ მიწვდა ზღარბი გუდას?

დააკვირდი სურათებს და მომიყევი ზღარბის ამბავი



ახლა მე მოგიყვები პატარა ამბავს. მომისმინე და შემდეგ შენ მომიყევი რაც დაგამახსოვრდება.

ბაბუა ნიკოს ერთი დღე

ნიკო ბაბუას ძალიან, ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა. დილით, ჯერ ბაღში გავიდა და ყვავილები მორწყა. ცოტა დაისვარა და ტანსაცმელი გარეცხვა გადაწყვიტა. ჭუჭყიანი ტანსაცმელი გაიხადა და სარეცხის მანქანაში შეყარა. სამზარეულოში შეიხედა. ნიჟარაში უუუამრავი ჭურჭელი იყო გასარეცხი. ნიკომ თეფშები, ჭიქები, ჩანგლები და კოვზები გარეცხა. შემდეგ იატაკის დასუფთავებას შეუდგა. იატაკი ცოცხით გამოხვეტა. ამასობაში გარეცხილი ტანსაცმელიც გაშრა და ბაბუა ნიკომ გაათოვა. ძალიან დაიღალა და თან საკმაოდ მოშივდა. წინსაფარი გაიკეთა და სამზარეულოში გემრიელი სადილის მზადებას შეუდგა.

შეკითხვები

1. რა ერქვა ბაბუას?
2. რა გააკეთა მან დილით?
3. რატომ გარეცხა ტანსაცმელი?
4. რა გარეცხა ბაბუა ნიკომ სამზარეულოში?
5. რითი დაასუფთავა ნიკომ დასვრილი იატაკი?
6. რა გააკეთა ნიკომ როცა გარეცხილი ტანსაცმელი გაშრა?
7. ბოლოს რა გააკეთა ბაბუა ნიკომ?
8. როგორ ფიქრობ, კიდევ რას გააკეთებდა ბაბუა ნიკო?

დააკვირდი სურათებს და მომიყევი ბაბუა ნიკოს ამბავი

თხრობა



ახლა მე მოგიყვები პატარა ამბავს. მომისმინე და შემდეგ შენ მომიყევი რაც დაგამახსოვრდება

კატოს ემოციები

კატომ გადაწყვიტა ბებოსთან თავის ემოციებზე ელაპარაკა. ბებო და კატო დივანზე ჩამოსხდნენ. კატომ საუბარი დაიწყო ბებო კი სულგანაბული უსმენდა.

„ ჩემი ემოციები ამინდით იცვლება. თითქოს ხან ქარია, ხან მზე, ხან კი - წვიმა. ზოგჯერ ჩემი ემოცია ცისარტყელას გავს. ამ დროს მხიარული ვარ, არ ვწუწუნებ და ყველაფერი მომწონს.

ზოგჯერ ჩემი ემოცია მუქ ღრუბლებს გავს. ამ დროს მოწყენილი ვარ და ყველაფერი მეზარება.

ზოგჯერ ქარივით ვარ. ძალიან ბევრს ვმოდრაობ, ვხტუნავ, დავრბივარ.

ხანდახან, როცა ვბრაზდები ჭექა-ქუხილს ვგავარ, ვჩხუბობ და ვტირი.“ - თქვა კატომ. ბებოს ძალიან მოეწონა კატოს საუბარი.

შეკითხვები

- რა ქვია გოგონას?
- ვისთან საუბარი გადაწყვიტა კატომ?
- რაზე ესაუბრა გოგონა ბებიას?
- რას შეადარა კატომ თავისი ემოციები?
- კატოს აზრით რა ემოციას ჰგავს ცისარტყელა?
- რა ემოციას ჰგავს მუქი ღრუბლები?
- რა ემოციას ჰგავს ქარი?
- რა ემოციას ჰყავს ჭექა - ქუხილი?
- რატომ შეადარა კატომ ემოციები ამინდს?
- რით ჰგავს ემოციები და ამინდი ერთმანეთს?
- შენ რას შეადარებდი სიხარულს ან გაბრაზებას?

დააკვირდი სურათებს და მომიყევი კატოს ამბავი

